ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო!

2014
წელი

1-15 აგვისტო

№15
(9342)

ალაზანი

გაზეთი გამოდის
1923 წლის
1 მაისიდან

ფასი
40 თეთრი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელი

2008 წლის აგვისტოს უმძიმესი დღეები კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიისა... ტრაგიკული, მაგრამ ამასთან გმირული თავდადებით და სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით აღსავსე.

სენაკმა დასავლეთ საქართველოში ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო აგრესორისგან. დაიღუპა სამი მშვიდობიანი მოქალაქე, დაიჭრა ათეულობით ადამიანი, დაიბომბა სამხედრო ბაზა და ქალაქის ცენტრალური ნაწილი. სამშობლოს სადარაჯოზე გმირულად დაეცნენ დღეს ყოველი სენაკელისათვის საამაყო ვაჟკაცები: ლევან თეფანია და თემურ ბოკუჩავა, ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას ზვარაკად შეწირულნი... დღეს მათ უდროოდ შეწყვეტილ ცხოვრებას მათი შთამომავლები აგრძელებენ, გმირი მამების ფესვმაგარი, ამაყი შვილები. საქართველო დღემდე თავგანწირულ შვილთა გმირობამ მოიყვანა და დღევანდელი დღე ტკივილთან ერთად სწორედ სიამაყის მატარებელია. ერი და ბერი, როგორც სენაკში, ისე სრულიად საქართველოში, იმ დღეებში გამთლიანდა ერთი უწმინდესი იდეის ირგვლივ-სამშობლოს სიყვარული და მისი თავისუფლებისათვის თავდადება რომ ჰქვია სახელად. მჯერა, ქვეყანა, რომელსაც ასეთი გმირები ჰყავს, უკვდავია და დამარცხება არ უწერია.

კიდევ ერთხელ დიდ თანაგრძნობას ვუცხადებ აგვისტოს ტრაგედიისას დაღუპულთა ოჯახებს.

გურამ მისაბიშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი,
სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი

მუნიციპალიტეტის ამბები

საქველმოქმედო აქცია სენაკში

საერთაშორისო ასოციაცია "ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" დღეს სენაკს ესტუმრა. ასოციაციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 16 პირს სტანდარტული ეტლები გადასცა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ინტეგრირებას ნებისმიერი კუთხით. 11 ეტლი ქალაქ სენაკის უნარშეზღუდულ მოქალაქეებს გადაეცათ, 5 კი - ზანის, ნოქალაქევის, თეკლათისა და უშაფათის თემებში მცხოვრებლებზე გადანაწილდა. აქტიური ეტლი (რაფრაიდერი) მზადდება საქართველოში, კერძოდ "ინვალიდთა ლიგაში", საამქროს ხელმძღვანელობს გია ძნელაძე. ასოციაციის საქმიანობა საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაცია ეტლების დამზადებას აფინანსებს. ამასთანავე ჰუმანიტარული ორგანიზაცია საერთაშორისო ასოციაციის მეშვეობით დახმარებას უწევს ტუბერკულიოზით დაავადებულ მოქალაქეებს. აღსანიშნავია, რომ ასოციაცია "ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო ღონისძიებებში. სენაკის ბავშვთა პანსიონატს ამერიკული ორგანიზაცია ასოციაციის მეშვეობით ამარაგებდა პროდუქტებით, ტანსაცმლებითა და მედიკამენტებით. საერთაშორისო ასოციაცია აგრძელებს თანამშრომლობას სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, რომელიც კიდევ ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებებს განახორციელებს სენაკის მუნიციპალიტეტში.

მასშტაბური ინვესტიციის პრეზენტაცია სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოჩა დგებუაძე ჩინეთის მსხვილი საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა.

ბიზნესმენებთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ბალნეოლოგიური კურორტი მენჯის განვითარების პერსპექტივებს.

ჩინელმა ბიზნესმენებმა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კურორტის განვითარების პრეზენტაცია გამართეს, რომელიც ასეულობით მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ინვესტიციას ითვალისწინებს. პროექტის თანახმად აშენდება თანამედროვე სტანდარტების სამკურნალო და დასასვენებელი კომპლექსები, მოეწყობა ინფრასტრუქტურა.პროექტის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული ჩინეთის განვითარების ბანკი.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის პროცესში 800-მდე, ხოლო სამუშაოთა დასრულების შემდეგ 2000-მდე ადგილობრივი დასაქმდება, რაც პროექტით გათვალისწინებულ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 95% შეადგენს.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა კომპანიას აგრეთვე გააჩნია მნიშვნელოვანი საინვესტიციო წინადადებები სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

მიეძღვნა დიდებული სენაკელის ხსოვნას

24 ივლისს მუზეუმში გაიმართა ჩვენი ქალაქის გამორჩეული პიროვნების, საქართველოს ეროვნული გმირის-ჟიული შარტავას მამის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილი დირექტორის კალისტრატე შარტავას 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ახლადარჩეული საკრებულოს წევრები. შარტავების ოჯახის ახლო ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები, კულტურის სფეროს მუშაკები, სტუმრები, კერძოდ, რძალი ნუნუკა ალასანია, შვილიშვილები და სხვები.

შეხვედრა გახსნა ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა, საზოგადოება „სენაკელის" ხელმძღვანელმა რეზო ჯანჯღავამ.

საღამოზე გაიხსენეს ბატონი კალეს განვლილი რთული და მრავალმხრივი გზა, მისი პიროვნება, უბადლო იუმორი, ღვაწლი თანაქალაქელების წინაშე... და ბოლოს, ალბათ ყველაზე უმთავრესი, როგორც ღირსეული შვილების და თანამედროვეობის სამაგალითო გმირის აღმზრდელი, განუზომელი ტრაგედიის დამტევი მამა...

იუბილარის ცხოვრების შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ მუზეუმის ფონდის მცველი გრიალა ანთია, საკრებულოს წევრი დამირ კუჭავა, მწერალი ბორის დავითაია, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ლალი გულუა, გასული საუკუნის 80-იან წლებში სენაკის რაიონის ხელმძღვანელი ბონდო ჯიქია, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნატო ფულარია, ექიმი იამზე ხარებავა, ოჯახის ახლო მეგობარი გოგი აშკაშიძე, ჟიული შარტავას კლასელი და მეგობარი ზურაბ ჯორჯიკია. შეკრებილთ გაეცნო ბატონ რევაზ ფაჩულიას მიერ გამოგზავნილი ბარათი.

გერმანიიდან სატელეფონო ჩართვით დამსწრე საზოგადოებას მიესალმა კალისტრატე შარტავას ქალიშვილი ქალბატონი ცისანა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორთ.

ბატონი კალისტრატეს ღვაწლის ესოდენ ფართოდ წარმოჩენისათვის, საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავასა და ოჯახის სხვა წევრების უაღრესად გულთბილად მოხსენებისათვის შეკრებილთ სამადლობელი სიტყვით მიმართა ქალბატონმა ნუნუკა ალასანიამ, მანვე ჟიული შარტავას მუზეუმს საჩუქრად გადასცა სამუზეუმო ღირებულების მასალები..

ღონისძიების მონაწილეებმა ქალაქის ცენტრში ყვავილებით შეამკეს ბატონი ჟიულის ბიუსტი.

ამავე დღეს იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში აღევლინა ბატონ კალეს, ქალბატონ ფენიას, ჟიულის და სოსოს, სულის საოხი პანაშვიდი

მცინარა გვალია

სენაკელი ძრისტინე კოტაშია ისრაელიდან გვწერს:

დღეს საქართველოს და ისრაელი ერთდროულად მცკივა!

მე მახსოვს 8 აგვისტო! ზუსტად 6 წლის წინ აგვისტოს ომი გამოვიარე, მაშინ იქ, ჩემს მშობლიმთან სენაკში ვცხოვრობდი.

ახლა კი ისრაელ-პალესტინის ომის "თავდაცვის ზღვარის" ეპიცენტრში ვარ, რადგან ახლა აქ ვარ, ჩემს ოჯახთან.

მშვიდობიანი და უორუმლო ზეცაა ჩემი ნაცვრა და ოცნება

12 აგვისტო-ცოცნეობა

ცოტნე დადიანი – ქვეყნისთვის თავდადებული მამულიშვილი, რომელმაც შთამომავლობას გმირობისა და ერთგულების მაგალითი მისცა.

1235 წელს საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს.

მონღოლთა ბატონობა საქართველოში სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა, მათ საქართველოს მთავრებს უმძიმესი ხარკი დაუწესეს და თან ბრძოლებში მონაწილეობაც დაავალეს. ქართველები არ აპირებდნენ ასე ადვილად შეგუებოდნენ თავისუფლების დაკარგვას და გადაწყვიტეს გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ მტერს.

შეკრების მიზეზად ქართველები მონღოლთათვის ხარკის აკრეფას ასახელებდნენ და აცხადებდნენ, რომ აჯანყების განზრახვა არ ჰქონიათ. მონღოლებმა მათ არ დაუჯერეს: მთავრები გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მშიერ-მწყურვალნი, პაპანაქება სიცხეში დატოვეს, თან ყოველდღე შეკრების მიზეზს ეკითხებოდნენ.

ანისში ცოტნემ იხილა რა სასიკვდილოდ განწირული თანამოძმეები, ცხენიდან ჩამოხტა, სამოსელი გაიხადა და გვერდით მიუჯდა მათ.

ცოტნე დადიანის თავდადებამ იმდენად იმოქმედა მონღოლებზე, განსაკუთრებით ჩადატა ნოინზე, რომ მათ ქართველების გათავისუფლება გადაწყვიტეს. „ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ და შენდა მინდობილ ვართ“, - უთხრეს მათ ცოტნეს და ყველანი გაათავისუფლეს.

საქართველოში ყველამ იცის ცოტნე დადიანის ამბავი, მისი გმირობა რწმენის, სიყვარულისა და თავდადების მაგალითია. 1999 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის სინოდმა ცოტნე დადიანი წმინდანად შერაცხა ხობის უძველეს ტაძარში შემორჩენილია ცოტნე დადიანისა და მისი მშობლების ფრესკა, ხოლო ქ. ფოთში დგას მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი ცოტნე დადიანის ძეგლი.

უკვდავია ძვეყანა, სადაც ასეთი გმირები იბადებიან

2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ისტორიის უმძიმესი ფურცელია.

რუსეთის აგრესიის შედეგად დასავლეთ საქართველოში სენაკის მუნიციპალიტეტი ყველაზე მეტად დაზარალდა. 8 აგვისტოს დაიბომბასენაკის სამხედრო ბაზა, ქალაქის ცენტრალური ნაწილი, რკინიგზის სადგურის მიდამოები. მომხდურთა თარეშის შედეგად 5 მოქალაქე დაკარგა სენაკმა. სამშობლოსათვის ბრძოლაში გმირულად დაეცნენ სენაკის მეორე ბატალიონის მებრძოლები: ლევან თეფანია-9 აგვისტოს სოფელ ხეთაგუროვთან და თემურ ბოკუჩავა-8 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან. ქალაქის დაბომბვას 3 მოქალაქე შეეწირა: ჯონი და როლანდ ქარდავები და მეირა ინჯგია. დაიჭრა ათეულობით ადამიანი.

8 აგვისტოს სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, მოეწყო ომის ამსახველი ფოტო-გამოფენა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სენაკის საზოგადოების წარმომადგენლები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, კულტურის სისტემის მუშაკები, ჯარისკაცები სენაკის სამხედრო ბაზიდან.

ღონისძიებას უძღვებოდა მხართმცოდნეობის მუზეუმის მთავარი სპეციალისტი ბატონი რეზო ჯანჯღავა. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის მცველმა გრიალა ანთიამ და მეცნიერ-მუშაკმა მაია ლაშქარავამ ვრცლად მიმოიხილეს ცრემლიანი, მაგრამ მაინც გმირობისა და თავდადების სულისკვეთებით გაჯერებული დღეები.

ომის მძიმე დღეები მოიგონეს ლარისა გოგუამ, შახი კვირაიამ, მარინე აბრამიამ, ვასილ ბესელიამ, ეკატერინე გაბრავამ, თემურ ბოკუჩავას შვილმა-პატარა ალექსიმ წაიკითხა ლექსი. შეკრებილთ სიტყვით მიმართეს სამხედრო ძალების წარმომადგენლებმა: ჯიმშერ რუხაძემ და მიხეილ სადუნიშვილმა. ემოციურად იყო დატვირთული ლევან თეფანიას მამის ბატონ ოთარის საუბარი.

ომის ქარცეცხლიან ეპიზოდებზე ისაუბრა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა დგებუაძემ. მანვე მადლობა გადაუხადა ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს სტუმრობისათვის და დიდი გამძლეობა უსურვა მათ. მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ფარგლებში ბატონმა გოჩა დგებუაძემ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს გადასცა დახმარება 500-500 ლარის ოდენობით.

დარბაზში უხვად იღვრებოდა თაფლის სანთლის სურნელი, ულევი ცრემლი ერთვოდა ღონისძიების ამაღლებულ განწყობილებას.

ღონისძიების მსვლელობისას ერთმანეთს ენაცვლებოდნენ აგვისტოს ომის კადრები... საღამოს ტექნიკურ უზრუნველყოფაზე იზრუნა ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომელმა თეიმურაზ რეკვავამ.

ღონისძიებას ფონად გასდევდა კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლ „ეგრისის” მიერ შესრულებული საგალობლები.

რუსეთის აგრესიის თემას მიეძღვნა სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში გამოფენა „რუსული აგრესია საქართველოში”

სენაკის იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში აღვლენილ იქნა ომში დაღუპულთა სულის საოხი პანაშვიდი.

ნინო თულაძე,
მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის თანამშრომელი

მედია სემინარი ზუგდიდში

29 ივლისს ასოციაცია „მერკურმა” ქ. ზუგდიდის „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში” ჩაატარა ტრენინგი თემაზე „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები”. პროექტის „ძალადობის პრევენციის კამპანია სამეგრელოს რაიონში” დონორია არასამთავრობო ორგანიზაცია I I .

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ასოციაცია „მერკურის” წარმომადგენელმა ნანა თოდუამ. მისალმებისა და ერთმანეთის გაცნობის ტრენერმა რუსუდან პაჭკორიამ ჟურნალისტებს წარმოუდგინა სემინარის თემატიკა. მან ისაუბრა ოჯახში ძალადობის შესახებ არჩეულ ძირითად თეორიებზე, ოჯახში ძალადობის ციკლზე, ძალადობის გავლენაზე არასრულწლოვანებზე. მიმოხილულ იქნა საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის და მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე, მედიის როლზე ძალადობის პრევენციაში და სხვა.

ტრენინგზე ჩატარდა ჯგუფური მუშაობა, მოეწყო პრეზენტაციები, შესრულდა სავარჯიშოები. ნაჩვენები იქნა სხვადასხვა ვიდეოფაილები: „ინტერვიუ ფსიქოლოგთან, 15 წუთიანი ფილმი ოჯახში ძალადობაზე.

ჟურნალისტებს ტრენინგზე განემარტათ „რა არის ძალადობა”, „ვინ არის მოძალადე”, „რა სახის ძალადობა არსებობს”.

...ოჯახური ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განზრახ განხორციელებული ქმედება, რომელიც არღვევს მის უფლებებს, თავისუფლებას, კანონიერ ინტერესებს და აყენებს მას ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ტრამვას.

...მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც ძალადობს ან იძულებას ახორციელებს ოჯახის სხვა წევრის მიმართ...

...ძალადობის სახეებია: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური.

მედიასაშუალებების ჟურნალისტები უნდა დაეხმარონ ძალადობის მსხვერპლს ინფორმაციის მოძიებაში. ძალადობის მსხვერპლს შეუძლია დარეკოს პოლიციაში -112, დაუკავშირდეს იურისტს, მიმართოს ფსიქოლოგს, დარეკოს ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ქსელში, ცხელ ხაზზე 02 27 26 717, დარეკოს ძალადობისაგან დაცვის სამეგრელოს რეგიონალურ კომიტეტში 415 221078.

ტრენინგის დასასრულს გაიმართა დისკუსია, მონაწილე ჟურნალისტებს გადაეცათ სერტიფიკატები. აღინიშნა, რომ ტარდება რეგიონალური კონკურსი საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომის გამოვლენისათვის ოჯახში ძალადობის თემაზე(საგაზეთო სტატია, ტელესიუჟეტი). გამოვლენილი ნაშრომის ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრემიით. დაწვრილებითი ინფორმაციის მიიღება კონკურსის პირობებზე რეგიონის ჟურნალისტებს შეუძლიათ ასოციაცია „მერკურის” ოფისში, ქ.ზუგდიდში, მისამართი: რუსთაველის ქ. № 39, ტელეფონი 415 22 05 50

მ. ეჯიბია

ᲘᲑᲠᲣᲜᲔ ᲯᲐᲜᲡᲐᲦ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ!

ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲣᲠᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲛᲐᲡ ᲣᲥᲛᲜᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ. ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲐᲗ ᲯᲐᲜᲡᲐᲦ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

– ᲨᲔᲛᲝᲬᲔᲠᲗᲓᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲬᲘᲠ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ;

– ᲛᲝᲛᲐᲔᲛᲜᲔ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲣᲠᲔᲛᲣᲚᲘ ᲪᲔᲠᲘᲪᲮᲝᲠᲘᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲪᲘᲡ ᲔᲛ-ᲒᲔᲠᲓᲖᲔ(www.orkisi.ge; www.cleaup.ge) ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲐᲥᲪᲘᲣᲚ ᲠᲣᲙᲐᲖᲔ, ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲪᲘᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔ ᲘᲡ;

– ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲕᲐᲮᲓᲘᲝᲜᲗᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲚᲘᲖᲔᲑᲐ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ;

– ᲒᲐᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲧᲐᲠ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ;

– ᲮᲚᲘ ᲨᲔᲕᲣᲬᲧᲝᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲖᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲐᲡ;

– ᲩᲐᲠᲗᲕᲐᲩᲘᲜᲝᲗ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲛᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ; ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲕᲣᲬᲧᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲪᲘᲘᲡ/ᲓᲐᲮᲐᲠᲘᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ.

– ᲒᲐᲕᲐᲪᲜᲝᲑᲘᲠᲝᲗ ᲣᲙᲝᲜᲪᲠᲝᲚᲝ ᲜᲐᲒᲐᲕᲡᲐᲧᲠᲔᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲝᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡᲬᲔ.

ᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲔᲛᲘ�ნᲐᲠᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ

25-27 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ Ქ. ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ ᲓᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲐᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲘᲧᲝ „ᲛᲧᲐᲠᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲠᲑᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ". ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ „ᲓᲐᲕᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ"-ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ"-ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡ, ᲕᲘᲓᲔᲝᲙᲚᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲐᲚᲑᲝᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ, ᲓᲦᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲒᲐᲐᲪᲜᲔᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲔᲥᲡᲠᲔᲠᲢᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲚᲔᲚᲐ ᲧᲐᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲗᲔᲛᲐᲖᲔ „ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ", „ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ-ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲓᲐᲕᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ" ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ-ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲜᲘᲜᲝ ᲩᲮᲝᲑᲐᲫᲔᲛ.

„ᲛᲧᲐᲠᲘ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ" ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲖᲔ,ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐᲖᲔ" –ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲣᲮᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲗᲔᲛᲘᲡ „ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ"-ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ (ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲔᲜᲔᲠ�გᲘᲐ, ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ-ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲫᲔ.

„ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠ�გᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ", ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲔ-ᲚᲐᲫᲔᲛ.

ᲡᲘᲛᲣᲚᲐᲪᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ(„ᲥᲐᲚᲐᲥᲘ") ᲧᲕᲔᲚᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ ᲩᲐᲠᲗᲝ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ „ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ", „ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲔᲑᲘᲡ", ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ" ᲓᲐ „ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ" ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲮᲔᲓᲕᲐ.

26 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲡ ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲕᲘᲡ „ᲐᲠᲥᲔᲝᲞᲝᲚᲘᲡᲘ".

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲛᲔ�გᲠᲔᲚᲝᲡ, ᲒᲣᲠᲘᲘᲡ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ, ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡ, ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ (ᲚᲔᲚᲐ ᲧᲐᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲘᲐ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ) ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ ᲡᲔᲠᲗᲘᲤᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘ.

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲫᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ.

ᲜᲘᲜᲝ ᲩᲮᲝᲑᲐᲫᲔ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ-ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲠᲪᲘᲣᲛᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ „ᲝᲠᲥᲘᲡᲘᲡ", ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲔᲙᲝᲕᲘᲭᲔᲜᲘᲡ" ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ (ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ) ᲛᲘᲔᲠ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, ᲛᲔᲓᲘᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲐᲛ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲖᲔ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲡ ᲨᲔᲘᲫᲔᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲜᲘᲜᲝ ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲐᲖᲔᲗ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔᲡ" ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ-ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲖᲔ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ. ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲚᲘᲡᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝ.

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲣᲮᲝᲨᲕᲘᲚᲘ.-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ-ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲩᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲐᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲗ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ. ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲔᲙᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲕᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲡᲐ, ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲡ �გᲐᲠᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ, ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲗᲐᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲙᲘᲡᲠᲘᲐᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲬᲚᲘᲚᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲨᲘ. ᲝᲠᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲗᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲔᲙᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ,
ᲛᲐᲘᲐ ᲒᲔᲠᲒᲐᲘᲐ

ᲜᲣᲪᲐ ᲑᲣᲖᲐᲚᲐᲫᲔ "ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲐᲚᲦᲐ" 2014 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ



ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲘᲣᲠᲛᲐᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔ-13 ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲗ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲣᲪᲐ ᲑᲣᲖᲐᲚᲐᲫᲔ "ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲐᲚᲦᲐ" 2014 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ.

ᲬᲔᲚᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ 13 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 16 ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲤᲣᲠᲝᲠᲘ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲟᲘᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲥᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲓᲦᲔᲡ, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲝᲤᲝ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ "ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ" ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ

ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲓᲦᲔᲡ,ᲜᲣᲪᲐ ᲑᲣᲖᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔ

იმ ცრაგიკული დღეთა ფოტოქრონიკა

ყოფილი სასტუმრო „ეგრისი"

თეატრი

„საქართველოს ბანკი"

რკინიგზა

ჭავჭავაძის ქუჩა

რუსი სამხედროების თარეში

რუსი სამხედროები სენაკის ქუჩებში

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
მენეჯერი იზოლდა ჩვამანია
კორესპონდენტი მაია ბერბაია
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33

შორა ივაკის ასული ცხვიცავა-გუგუნავა-შოროაია

დასანანია, წარსულში ისაუბრო ნათელ, თბილ, მოსიყვარულე ქალბატონზე, რომელიც ჩვენს გვერდით ცხოვრობდა და სიცოცხლეს გვიადვილებდა, როგორც სათნო და მოსიყვარულე დედა, და, მეუღლე, ბებია...

მის გვერდით განვლილი ცხოვრების გზა უეჭველად გათქმევინებს ნამდვილად ღირს მოხვიდე ამქვეყნად! ღირს იცხოვრო ამქვეყნად, რათა აკეთო ღირსეული საქმე ლაღად და უშურველად!

მიუხედავად შენი ასაკისა იყავი საოცრად ენერგიული, სიცოცხლით სავსე, მზრუნველი ყველაზე და ყველაფერზე. იყავი ყველას ტკივილისა და წუხილის მოზიარე. სიკეთეს, სიყვარულს, ერთგულებას გვასწავლიდი. ლამაზად ცხოვრობდი, რომ შთამომავლობას თავმოსაწონებელი ჰქონებოდათ.

სრულიად ახალგაზრდამ 18 წლის ასაკში შექმენი ტრადიციული ქართული ოჯახი(აწ განსვენებულ) როდიონ ლევარსის ძე შურდაიასთან. ოთხი შვილის, რვა შვილიშვილის, შვიდი შვილთაშვილის, ასევე დების, ძმების, მაზლიშვილების გამზრდელი დედა, ბებო, დეიდა და ბიცოლა იყავი.

45 წელი იმუშავე არასაუწყებო დაცვის განყოფილებაში. მიუხედავად მთავრობისაგან მიღებული არაერთი მადლობისა, შენთვის ყველაზე დიდი ჯილდო საზოგადოების დაფასება და ის სიყვარული იყო, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე გრძნობდი.

კარგი ოჯახის, ღირსეული შვილებისა და შვილიშვილების დედა და ბებია წელგამართული, ამაყად დადიოდი სენაკის ქუჩებში.

როცა უეცრად შეუძლოდ გახდი, თითქოს სიკვდილს ჩახედე თვალებში. ვერ წარმოგედგინა შვილებთან, საყვარელ ადამიანებთან განშორება. ეს იყო ყველაზე უმძიმესი წუთები...წამები...

შესანიშნავი დედა, კეთილი გულისა და ლამაზი სულის ადამიანად დარჩი თითოეული ჩვენგანის, ასევე იმ საზოგადოების მეხსიერებაში ვინც 29 ივლისს უკანასკნელ გზაზე ცრემლებით გაგაცილა.

ასე ამბობენ: ადრე დაიბადე თუ გვიან, თუნდაც დედას, სიკვდილი არ უწერია

დედა! შენ ხომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაიხარჯე.

ეტყობა ღვთის ნება იყო შენი ამქვეყნიდან წასვლა.

დაე, უფალმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

შვილები

სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს ლია, ზანდა, მურმან, მარინა, ირინა, ნატო ქობალავებს ოჯახებით

კოტე ქობალავას

გარდაცვალების გამო

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ ლია ქობალავას ძმის

კოტე ქობალავას

გარდაცვალების გამო

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ა.(ა) ი.პ სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა –პატრონობის ცენტრი გაცნობებთ, რომ ქ. სენაკსა და სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში განთავსებულ სასაფლაოებზე, საფლავის გამოყოფასთან, არსებული საფლავის გაფართოებასთან და მიცვალებულის ამოსაფლავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აუცილებლია მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: სენაკი, ახალგაზრდობის ხეივანი № 7(ყოფილი ტელევიზიის შენობა)

ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად

საკონტაქტო ტელეფონი: 27 68 08, მობ.: 599 40 20 42, 599 85 77 13